საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 531 2017 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი

„რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2016 340170000.10.003.019215) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთვის 2017-2018 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების

ფარგლებში.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“:

ა) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია, ამ მონაწილისათვის გათვალისწინებული კაპიტალური ინვესტირება გადასცეს პროგრამაში მონაწილე სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელსაც კაპიტალური ინვესტიციის დამატებით მისაღებად მოწყობილი აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაბამისი შენობა-ნაგებობა.“;

ბ) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტისას მონაწილეს მიღებული აქვს კაპიტალური ინვესტირება, სააგენტო უფლებამოსილია, მოითხოვოს მონაწილისაგან მიღებული კაპიტალური ინვესტირების ღირებულების 100%-ის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა ან მისი დაბრუნება ამ პროგრამით დადგენილი წესით სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის გადასაცემად.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**